ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 96

29 მარტი
"---" -------- 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნიკოლოზ სვანიშვილის ქუჩის, ნიკოლოზ სვანიშვილის ქუჩის I გასასვლელის და სანდრო მირიანაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) საბურთალოს რაიონში, გაგრძელდეს ნიკოლოზ სვანიშვილის ქუჩა, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) საბურთალოს რაიონში, გაგრძელდეს ნიკოლოზ სვანიშვილის ქუჩის I გასასვლელი, თანდართული რუკის თანახმად.

გ) საბურთალოს რაიონში, გაგრძელდეს სანდრო მირიანაშვილის ქუჩა, თანდართული რუკის თანახმად.

დ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

X=478603 Y=4627336
ნიკოლოზ სვანიშვილის I გას.
X=478742 Y=4627315
X=478604 Y=4627289
სანდრო მირიანაშვილის ქ.
X=478742 Y=4627288
X=478602 Y=4627263
ნიკოლოზ სვანიშვილის ქ
X=478742 Y=4627262